# IT მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია

IT მენეჯერი ხელმძღვანელობს და მართავს სკოლას ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

IT მენეჯერი

1.სარგებლობს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით;

2. ვალდებულია დაიცვას შინაგანაწესი და დებულება;

3.. პასუხისმგებელია სკოლაში კომპიუტერული სისტემის გამართულ მუშაობაზე;

4. ახორციელებს ოპერაციული სისტემის შერჩევას, მის დაყენებას, გამორთვას და ოპტიმიზაციას;

5. უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის პროგრამულ განახლებას, დრაივერების ინსტალიაციას საჭიროებისამებრ, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაციის განახლებასა და გამართვას;

6. ახორციელებს სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და დირექტორის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილების კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;

7.უზრუნველყოფს და პასუხისმგებელია სკოლის გამოსაშვები გამოცდების დროს ,კომპიუტერული სისტემის გამართულ მუშაობაზე.

8. IT მენეჯერის სამუშაო საათები იწყება 9 საათზე და მთავრდება 18 საათზე

დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან.

2. IT მენეჯერის თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით.